PDF-XChange Viewer Click to buy NOW! www.docu-track.com

ხელშეკრულება № 34

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური 10 დეკემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სამსონ ჯიბუტის სახით და მეორე მხრივ, ი/მ ხათუნა რამიშვილი , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა რამიშვილის სახით, და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია

1.2. სასკოლო ინვენტარი (CPV:39100000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 122 (ასოცდაორილარი და 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ჩოხატაური, სოფ შუა ამაღლება)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, უნდა აცნობოს მეორე მხარეს მისი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ

PDF-XChange Viewer Click to buy NOW! www.docu-track.com

სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლა ს/კ 242007430 მის: ჩოხატაური, სოფ. შუა ამაღლება ტელ: 577-97-22-29 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE93LB0121139503055000 **დირექტორი სამსონ ჯიბუტი** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	ი/მ ხათუნა რამიშვილი ს/კ 46001012292 მის.: ჩოხატაური ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „-ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა **GE89LB0112131826279000** **დირექტორი ხათუნა რამიშვილი** _____ (ხელმოწერა) ბ.ა

PDF-XChange Viewer
Click to buy NOW!
www.docu-track.com

PDF-XChange Viewer
Click to buy NOW!
www.docu-track.com

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	ნაძვის ხე	ცალი	1	110	110
2	ნაძვის ხის ბაფთები	შეკვრა	1	6	6
3	კრონა ელემენტი	ცალი	2	3	6
	ჯამი				122

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის დირექტორი /ს. ჯიბუტი/

ბ.ა.

„ი/მ ხათუნა რამიშვილი“ /ხ. რამიშვილი/

PDF-XChange Viewer
Click to buy NOW!
www.docu-track.com

მიღება ჩაბარების აქტი # 34

19 დეკემბერი 2018წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლა, მისი დირექტორის სამსონ ჯიბუტის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ხათუნა რამიშვილის ამ აქტს ვადასტურებთ, რომ პირველმა მხარემ ჩაიბარა და მეორე მხარემ გადასცა 2018 წლის 10 დეკემბრის № 34 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდეგი სასკოლო ინვენტარის საქონელი:

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	ნაძვის ხე	ცალი	1	110	110
2	ნაძვის ხის ბაფთები	შეკვრა	1	6	6
3	კრონა ელემენტი	ცალი	2	3	6
	ჯამი				122

მიღება ჩაბარების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო-თითო ეგზემპლარი ინახება აქტზე ხელმომწერ მხარეებთან.

მიღება - ჩაბარების აქტი სწორია, რაზედაც ვაწერთ ხელს.

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის დირექტორი /ს. ჯიბუტი/

ბ.ა.

„ი/მ ხათუნა რამიშვილი“ /ხ. რამიშვილი/

ADMINISTRATIVE BODY OF CHOKHATAURI MUNICIPALITY VILLAGE SHUA AMAGLEBI PUBLIC SCHOOL LEPL
242007430